585/
1993/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1993

№ 6

საქართველოს პარლამენტის

უწყებები

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის

ფოსტები

№ 6 (623) აპრილი 1993 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

81. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

82. საქართველოს პარლამენტის დადგენილება შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ.

83. საქართველოს პარლამენტის დადგენილება კონტროლის პალატის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

84. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის 1993 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების უფლების დელეგირების შესახებ.

85. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე.

80317

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

86. საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულება.

87. საქართველოს პარლამენტის დადგენილება 9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ.

88. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ.

89. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

90. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში დამატების შეტანის შესახებ.

91. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის სავალდებულოდ აღიარების შესახებ.

92. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი მოსმენით მიღების თაობაზე.

93. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომისიაში ცვლილების შესახებ.

94. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის 24-ე და 42-ე მუხლების თაობაზე.

95. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის ; და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

96. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული ჯარიმების გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

97. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ.

98. საქართველოს პარლამენტის დადგენილება რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე.

99. საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ.

100. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

განყოფილება მეორე

საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა აფხაზ ხალხს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 15 აპრილის სხდომაზე საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის უკრაინაში ვიზიტის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის ბრძანება საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის დებულება.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

81 სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ ზოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 1 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

82 შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების ხელშეწყობით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ტარდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული გენოციდის სახე.

მშვიდობიანი მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის მიზნით, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს უმოკლეს ვადაში შექმნას მშვიდობიანი მოსახლეობის, მძევალთა და ტყვეთა გამოხსნის საგანგებო კომისია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ტყვეთა გამოხსნის კომისიასთან

ერთად დასახავს და გაატარებს ქმედით ღონისძიებებს დაკისრებული ამოცანების გადასაწყვეტად. აუცილებლობის შემთხვევაში, გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფების კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიიდან დასაშვებად იქნეს მიჩნეული მშვიდობიან მცხოვრებთა დროებითი გამოყვანა, მათი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით.

2. შექმნილი ვითარების შესწავლისა და კონკრეტულ ღონისძიებათა დასახვის მიზნით აფხაზეთში ოპერატიულად გაიგზავნოს საქართველოს პარლამენტის, ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს და მინისტრთა კაბინეტის წევრთა დელეგაცია ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის ალექსანდრე კავსაძის ხელმძღვანელობით.

3. დაუყოვნებლივ მიექცეს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის ყურადღება საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე უცხო ქვეყნის შემწეობით მიმდინარე ეთნიკური წმენდის ფაქტებს, მათი უშუალო გამომწვევი მიზეზის — აგრესიის აღკვეთის მიზნით.

4. საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ, მინისტრთა კაბინეტმა მიიღონ საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ იძულებით გადაადგილებულ მოქალაქეთა თავის საცხოვრებელ კერაში დაბრუნებას და საამისოდ სათანადო პირობების შექმნას.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 1 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

83 კონტროლის პალატის შესახებ საქართველოს რეს. პუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

კონტროლის პალატის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 1 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

84 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისათვის 1993 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების უფლების დელეგირების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უფლება დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების 1993 წლის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და განახორციელოს მათი პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა წელიწადში ორჯერ მოახსენოს პარლამენტს პრივატიზების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 6 აპრილი.

85 საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

რატიფიცირებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთუსაფრთხოების ხელშეკრულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 6 აპრილი.

86 საქართველოს რესპუბლიკისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთუსაფრთხოების

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკა და აზერბაიჯანის რესპუბლიკა, შემდგომში მაღალ ხელშემკვრელ მხარეებად წოდებულნი, რომლებიც

ადასტურებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ჰელსინკის საბოლოო აქტისა და ახალი ევროპის პარიზის ქარტიის, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის სხვა დოკუმენტების ერთგულებას,

დარწმუნებული არიან, რომ ორი ხალხის ისტორიის, კულტურის, წესჩვეულებების სიახლოვე და მეგობრული ურთიერთობა საჭირო საფუძვლებს შეუქმნის მრავალმხრივ და მჭიდრო თანამშრომლობას,

მიაჩნიათ, რომ მათი მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარება შეესაბამება

ორივე სახელმწიფოს ხალხთა ძირეულ ინტერესებს და ემსახურება მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მ უ ხ ლ ი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავიანთ ურთიერთობას განავითარებენ როგორც მეგობარი სახელმწიფოები, ისინი განუხრელად იხელმძღვანელებენ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ძალის ან ძალით დამუქრების გამოუყენებლობის, ეკონომიკური და სხვა მეთოდების ჩათვლით, ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობის, საკითხების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების, ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულების პრინციპებით, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის სხვა საყოველთაოდ აღიარებული ნორმებით.

მ უ ხ ლ ი 2

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ ურთიერთხელსაყრელობისა და ურთიერთნდობის საფუძველზე დამყარებული მრავალმხრივი ურთიერთობის განვითარებას პოლიტიკის, სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურის დარგებში. ამ მიზნით მხარეები ცალკე შეთანხმებებს დადებენ აღნიშნულ და სხვა სფეროებში.

მ უ ხ ლ ი 3

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მიმართავენ ერთობლივ ძალისხმევას საერთაშორისო მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ უსაფრთხოებისა და ნდობის რეგიონალური სისტემის შექმნას.

მხარეები მჭიდროდ ითანამშრომლებენ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში რეგიონსა და მსოფლიოში პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 4

ურთიერთობის შეთანხმებულად წარმართვის მიზნით მაღალი ხელშემკვრელი მხარეები სულ ცოტა წელიწადში ორჯერ გამართავენ კონსულტაციებს ორივე მხარისათვის მნიშვნელოვან რეგიონალურ და საერთაშორისო საკითხებზე.

მხარეები ამ კონსულტაციების დღის წესრიგს, ადგილსა და ვადებს შეათანხმებენ დიპლომატიური არხების საშუალებით.

მუხლი 5

თითოეულ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიმართოს მეორე მხარეს სასწრაფო კონსულტაციების მოწყობის თაობაზე ურთიერთუსაფრთხოების საკითხებში. მხარეები გაცვლიან ინფორმაციას და შეათანხმებენ შესაძლო ზომებს ურთიერთუსაფრთხოებისათვის საშიში სიტუაციების დაძლევის მიზნით.

მუხლი 6

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თავს შეიკავებენ ისეთ ქმედებასა ან ღონისძიებაში მონაწილეობისაგან, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს მეორე მხარის წინააღმდეგ, არ დაუშვებენ, რომ მათი ტერიტორია გამოყენებულ იქნეს ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარის წინააღმდეგ მიმართული აგრესიის ან სხვა ძალისმიერი ქმედების განხორციელებისათვის. ამ მიზნით მხარეები ყველა ზომას მიმართავენ, რათა აღკვეთონ დივერსიული ჯგუფებისა და დაქირავებული ფორმირებების შექმნისათვის და მეორე მხარის ტერიტორიაზე მათს შესაგზავნად თავისი ტერიტორიის გამოყენების ცდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 7

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები მხარს უჭერენ შავი და კასპიის ზღვების რეგიონის ქვეყნების საერთო ბაზრის ჩამოყალიბების იდეას. ისინი ითანამშრომლებენ საერთაშორისო ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვა ორგანიზაციებში, შეთანხმებებსა და კონვენციებში, აღნიშნული ორგანიზაციების, შეთანხმებებისა და კონვენციების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

მ უ ხ ლ ი 8

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები წარმართავენ თავიანთ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე.

მხარეები ორმხრივი ძალისხმევით გააღრმავებენ და გააფართოებენ ურთიერთხელსაყრელ ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას. ამ მიზნით მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას მრეწველობის, ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, ტრანსპორტის, კომუნიკაციების, სატელიტური კავშირისა და ეკონომიკის სხვა დარგებში.

მ უ ხ ლ ი 9

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ საბაზრო ურთიერთობებზე დამყარებული, ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას და ხელს შეუწყობენ აღნიშნულ თანამშრომლობას კაპიტალდაბანდებების, ტექნოლოგიების, საპატენტო და საავტორო უფლებების დაცვის გათვალისწინებით.

მხარეები, მათი მხარდაჭერისათვის აუცილებელი ყველა საშუალების გამოყენებით, ხელს შეუწყობენ სახელმწიფო და კერძო საწარმოების, აგრეთვე სხვა ეკონომიკური სუბიექტების თანამშრომლობის განვითარებას, კერძოდ, საწარმოების კოოპერაციის, ინვესტიციებისა და კაპიტალის დარგში. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ მცირე და საშუალო საწარმოების თანამშრომლობას.

მხარეები გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და გაუწევენ დახმარებას საბაზრო ეკონომიკის სწავლების, ფორმირებისა და სრულყოფის პროცესში.

მ უ ხ ლ ი 10

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები გაცვლიან ინფორმაციას და გააფორმებენ ცალკეულ ხელშეკრულებებს სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა სახის თანამშრომლობის, აგრეთვე ფულად-საკრედიტო და ფასების პოლიტიკის კონკრეტულ საკითხებზე.

მხარეები დროულად შეატყობინებენ ერთმანეთს იმ გადაწყვეტილებებს ეკონომიკის დარგში, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენოს მეორე მხარის ეკონომიკურ ინტერესებს.

მ უ ხ ლ ი 11

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები უზრუნველყოფენ მგზავრებისა და ტვირთის დაუბრკოლებელ ტრანზიტს მათ ტერიტორიაზე განლაგებულ საზღვაო, სამდინარო, საჰაერო პორტებში, სარკინიგზო და საავტომობილო გზებზე და მილსადენებით.

მ უ ხ ლ ი 12

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ითანამშრომლებენ ორმხრივი სატრანზიტო-სატრანსპორტო კომუნიკაციების, ტრანსპორტის ყველა დარგის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სრულყოფისათვის. მხარეები მიიღებენ ყველა ზომას ტელეკომუნიკაციური კავშირის, კერძოდ, სატელეფონო, სატელექსო კავშირის და ელექტრონული ფოსტის მოდერნიზაციისა და სრულყოფისათვის.

მ უ ხ ლ ი 13

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები შესაბამის პირობებს შექმნიან ორივე ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების ურთიერთდაბანდებისათვის და დაეხმარებიან ერთმანეთს ტექნოლოგიების გაცვლაში.

მხარეები განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევენ ერთობლივი საწარმოების შექმნას სასოფლო-სამეურნეო, სამთო-მომპოვებელ მრეწველობის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების და სხვა დარგებში, აგრეთვე შექმნიან ყველა პირობას ერთობლივი მეწარმეობის განვითარებისათვის.

მ უ ხ ლ ი 14

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე, მყარი ეკონომიკური უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით ითანამშრომლებენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში. ისინი შექმნიან, ხელს შეუწყობენ და გააფართოებენ პირობებს გარემოს დაცვის, მათ შორის წყლისა და ჰაერის, ნიადაგისა და ტყის, აგრეთვე მცენარეული და ცხოველთა სამყაროს მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

მხარეები მონაწილეობას მიიღებენ გარემოს დაცვის დარგში, როგორც რეგიონალური ისე გლობალური კოორდინირებული სტრატეგიის შექმნაში.

მ უ ხ ლ ი 15

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას და გამოცდილების გაზიარებას მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, განათლების, მედიცინის, ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ტურიზმისა და სპორტის დარგებში.

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას, კავშირების და უშუალო კონტაქტების გაფართოებას სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს და საზოგადოებებს, კულტურულ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

მხარეები მხარს დაუჭერენ კონტაქტებს ორი ქვეყნის მოქალაქეებს შორის და დადებენ ხელშეკრულებას საკონსულო თანამშრომლობის დარგში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 16

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ თავიანთ მზადყოფნას, რათა შესაძლებლობა მისცენ შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს სრულად შეითვისონ მეორე მხარის ენისა და კულტურის ფასეულობები, მხარი დაუჭირონ ერთმანეთის ლიტერატურის გავრცელებას.

მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას გააფართოონ მეორე მხარის ენის, საქართველოსთან და აზერბაიჯანთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა ერთმანეთის უმაღლეს და სხვა სასწავლო დაწესებულებებში.

მხარეები ითანამშრომლებენ პედაგოგების გაცვლის, მომზადების და პროფესიული სრულყოფის, აგრეთვე სახელმძღვანელოების მიწოდების დარგში.

მუხლი 17

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ ორივე მხარის მოქალაქეების კონტაქტებს და თანამშრომლობას საზოგადოებრივ გაერთიანებებს, პოლიტიკურ პარტიებს, პროფკავშირებს, ეკლესიებს, მეჩეთებს და რელიგიურ გაერთიანებებს, ფონდებს, სპორტულ და სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებს შორის.

მუხლი 18

თითოეული მაღალი ხელშემკვრელი მხარე თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ მეორე მხარის მოქალაქეებს აძლევს სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური უფლებების და ძირითადი თავისუფლებების გარანტიას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების და საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეული მხარე თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ მეორე მხარის მოქალაქეებს აძლევს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს.

თითოეული მხარე იცავს მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავისი მოქალაქეების უფლებებს, უწევს მათ მფარველობასა და მხარდაჭერას საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად.

მხარეები დადებენ ცალკე ხელშეკრულებებს მეორე მხარის ტერიტორიაზე მცხოვრები თავიანთი მოქალაქეების უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო, ოჯახური და სისხლის სამართლის სფეროებში.

მ უ ხ ლ ი 19

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ადასტურებენ, რომ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა ისევე, როგორც ეროვნულ უმცირესობათა მიერ ქვეყნის მიმართ მოვალეობის შესრულება, არის საქართველოს რესპუბლიკასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მშვიდობის, სტაბილურობისა და დემოკრატიის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

მხარეები გარანტიას აძლევენ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, სრულად და ეფექტიანად ისარგებლონ ადამიანთა უფლებებითა და ძირთადი თავისუფლებებით რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, კანონის წინაშე სრული თანასწორობის პირობებში.

მხარეები გარანტიას აძლევენ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, თავისუფლად გამოხატონ, შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა და არ ეცდებიან მათ ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ.

მხარეები უზრუნველყოფენ თავის ტერიტორიაზე ეროვნული უმცირესობების ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას და შექმნიან პირობებს ამ თვითმყოფადობის ხელშეწყობისათვის.

მხარეები ვალდებულებას კისრულობენ მიიღონ ეფექტური ზომები, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების სახით, ყველა ისეთი ქმედების თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით, რომლებიც უბიძგებენ ძალადობისაკენ ცალკეული პირების ან ჯგუფების წინააღმდეგ ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური დისკრიმინაციის, მტრობისა და სიძულვილის საფუძველზე.

მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ეფექტური ზომები მიიღონ ცალკეული პირების ან ჯგუფების სიცოცხლის და ქონების დაცვისათვის, რომლებიც ძალადობის მუქარის ან აქტების, დისკრიმინაციის და მტრობის საშიშროების წინაშე დგანან ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ ან რელიგიურ საფუძველზე.

მხარეები დადებენ თანამშრომლობის ხელშეკრულებას იმ პირთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც მიეკუთვნებიან ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ და რელიგიურ უმცირესობებს.

მუხლი 20

ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე არსებული მეორე მხარის სახელმწიფო და იურიდიული პირის ან მოქალაქეთა საკუთრების სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება საკუთრების ადგილმდებარეობის მხარის კანონმდებლობით, თუ სხვა პირობები არ არის გათვალისწინებული მხარეებს შორის არსებული სპეციალური შეთანხმებით.

თუ ერთ-ერთი მხარე განაცხადებს, რომ მას ეკუთვნის მეორე მხარის ტერიტორიაზე არსებული საკუთრება, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს მესამე პირი ან სახელმწიფო, მეორე მხარე ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა აღნიშნული საკუთრების დაცვისა და შენახვისათვის სადავო საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე და არა აქვს უფლება გადასცეს ვინმეს აღნიშნული საკუთრება, პირველი მხარის მკაფიოდ გამოხატული თანხმობის გარეშე.

ორივე მხარის საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები ექვემდებარება მოწესრიგებას ცალკეული ხელშეკრულებების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ უ ხ ლ ი 21

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აქტიურად ითანამშრომლებენ ორგანიზებული და საერთაშორისო დამნაშავეობის, ნარკოტიკების უკანონო გავრცელების, ტეროროზმის, საზღვაო და საჰაერო მიმოსვლის უსაფრთხოების ხელყოფის, კუტურული ფასეულობების გატაცის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მხარეები ხელს მოაწერენ ცალკეულ შეთანხმებებს აღნიშნულ და სხვა ურთიერთსაინტერესო საკითხებზე.

მ უ ხ ლ ი 22

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობას და კავშირების განვითარებას ორი ქვეყნის პარლამენტებსა და პარლამენტარებს შორის, ხელს შეუწყობენ თანამშრომლობის განვითარებას აღნიშნულ სფეროში.

მ უ ხ ლ ი 23

თითოეული მხარის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარე მაღალი ხელშემკვრელი მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას აღნიშნულ სფეროში შესაბამისი შეთანხმების საფუძველზე.

მ უ ხ ლ ი 24

აღნიშნული ხელშეკრულება არ არის მიმართული სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ და არ ლახავს მხარეთა მიერ ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებს მესამე ქვეყნის მიმართ.

მ უ ხ ლ ი 25

წინამდებარე ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიკაციას და ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღიდან.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ხელშეკრულება იდება ხუთი წლის ვადით. მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელდება ყოველი შემდეგი ხუთწლიანი ვადით, თუ ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს მისი შეწყვეტის სურვილს არა უგვიანეს ექვსი თვით ადრე მომდევნო ხუთწლიანი პერიოდის დამთავრებამდე.

შესრულებულია ქ. ბაქოში 1993 წლის 3 თებერვალს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და თურქულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით	**აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელით**
ედუარდ შევარდნაძე.	**აბულფაზ ელჩიბეი.**

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

87 9 აპრილის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღედ გამოცხადების შესახებ

საქართველოს უახლეს ისტორიაში დიდია ცხრა აპრილის მნიშვნელობა. ამ დღეს ქართველმა ერმა ერთხმად და თამამად გამოხატა თავისი სწრაფვა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. ამ დღეს დაიღვარა სამშობლოსათვის თავგანწირულ მამულიშვილთა უმანკო სისხლი და ამ დღესვე აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამდენად ეს დღე არა მარტო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმბოლოა, არამედ საქართველოს ერთიანობისა და წინსვლის დღეც არის. ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. 9 აპრილი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსადმი ერთგულების, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსადმი ერთგულების დაღუპულთა მოგონების დღედ.

2. 9 აპრილი აღინიშნოს ყოველწლიურად და გამოცხადდეს უქმე დღედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 8 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

88 საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა საფინანსო-ეკონომიკური და სამეურნეო კონტროლის უმაღლესი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე. იგი ემსახურება ეროვნული სიმდიდრისა და სახელმწიფო ქონების დაცვას, აკონტროლებს, შეისწავლის და აანალიზებს სახელმწიფო მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას და ეფექტიანობას.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის უფლებამოსილებანი, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა ეფარება უმაღლესი საკონტროლო ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებასა და სხვა ფუძემდებლური დოკუმენტების ძირითად პრინციპებს, წარმართავს საქმიანობას კონტროლის საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საკონტროლო ორგანოებთან ურთიერთკავშირების განმტკიცების, გამოცდილების გაზიარების და თანამშრომლობის მიზნით.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის საქმიანობის შემოწმება ხდება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისიის მიერ.

თავი II

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა მონაწილეობს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენაში, აკონტროლებს მისი ხარჯვის მიზნობრიობას, კანონიერებასა და ეფექტიანობას, საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის აპარატებში, აგრეთვე სამინისტროების, დეპარტამენტების, კომიტეტების, უწყებების, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის კონტროლს ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფი ყველა იურიდიული პირი, რომელიც იყენებს სახელმწიფო ფულად თუ მატერიალურ რესურსებს, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში განლაგებული საქართველოს რესპუბლიკის იურისდიქციაში მყოფი ყველა სახელმწიფო დაწესებულება და ორგანიზაცია.

სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს საფინანსო-ეკონომიკური და სამეურნეო კონტროლის სხვა სამსახურების საქმიანობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი III

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის სისტემა და ფორმირების წესი

მუხლი 3. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის სისტემაში შედიან საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ცენტრალური აპარატი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატები, ქ. თბილისის კონტროლის პალატა, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების კონტროლის პალატები. დასაშვებია რამდენიმე რაიონისა და ქალაქის კონტროლის პალატის ნაცვლად რეგიონის კონტროლის პალატის შექმნა.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანოების სტრუქტურასა და შტატებს აწესებს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის მუშაობის წარმმართველი უმაღლესი კოლეგიური ორგანოა საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შედიან: საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილეები, ცენტრალური აპარატის ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის კონტროლის პალატების თავმჯდომარეები და სხვა წევრები. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმს კონტროლის პალატის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმი განსაზღვრავს კონტროლის პალატის სისტემის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ამტკიცებს პალატის სტრუქტურას, მუშაობის რეგლამენტს, სამუშაო გეგმებს და იღებს სხვა შიდასაუწყებო ნორმატიულ აქტებს; თავის სხდომაზე იხილავს კონტროლის პალა-

ტის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისმენს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქ. თბილისის, აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების კონტროლის პალატების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, ისმენს უმნიშვნელოვანესი რევიზიაშემოწმებების შედეგებს და ღებულობს შესაბამის დადგენილებებს, წარმართავს სისტემის საკადრო პოლიტიკას, ამტკიცებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქ. თბილისის კონტროლის პალატების პრეზიდიუმების, ქალაქებისა და რაიონების კონტროლის პალატების საბჭოების შემადგენლობას.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილება მიიღება მისი წევრების ხმების უმრავლესობით.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმს უფლება აქვს გააუქმოს ან შეცვალოს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქ. თბილისის, აგრეთვე ქალაქებისა და რაიონების კონტროლის პალატების გადაწყვეტილებანი.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომები, როგორც წესი, ტარდება თვეში ერთხელ.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილების გაუქმების ან შეცვლის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს ან საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის საქმიანობას წარმართავენ პალატის თავმჯდომარე და მოადგილეები.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარეს სახელმწიფოს მეთაურის წარდგინებით ნიშნავს საქართველოს პარლამენტი ხუთი წლის ვადით, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილეებს კონტროლის პალატის თავმჯდომარის წარდგინებით ნიშნავს სახელმწიფოს მეთაური.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას და მის ორგანოებს საერთო ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, რომელიც:

წარმართავს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომებს;

— წყვეტს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის საქმიანობის დაგეგმვის, კონტროლის, რევიზიებისა და შემოწმებების საკითხებს;

— ნიშნავს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატების თავმჯდომარეებს შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების წარდგინებით;

— ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ორგანოების პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს;

— წარუდგენს საქართველოს პარლამენტს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის წლიურ ანგარიშს;

— მონაწილეობს საქართველოს პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის მუშაობაში;

— წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში;

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

თ ა ვ ი IV

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებანი

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვთ:

— რევიზია-შემოწმებების პერიოდში მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტური მასალა ნებისმიერი პასუხისმგებელი პირისაგან მუშაობის პროცესში წამოჭრილი საკითხების გარშემო;

— დადგენილი წესის შესაბამისად ჩაატარონ შესამოწმებელ ობიექტში მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია;

— პასუხისმგებელ პირთაგან საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის კანონიერ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეაჩერონ (ყადაღა დაადონ) იურიდიულ პირთა ოპერაციები ბანკებსა და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებში;

— რევიზია-შემოწმების შედეგებზე შეადგინონ სათანადო აქტი ან ცნობა.

კონტროლის პალატის მიერ რევიზია-შემოწმებით გამოვლენილი სახელმწიფო ბიუჯეტის ან სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების კუთვნილი თანხები სახელმწიფო ბიუჯეტში ან შესაბამის არასაბიუჯეტო ფონდებში ჩაირიცხება უდავო წესით.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქ. თბილისის კონტროლის პალატების პრეზიდიუმებს, აგრეთვე ადგილობრივი კონტროლის პალატების საბჭოებს ჩატარებული რევიზია-შემოწმების შედეგად დარღვევა-ნაკლოვანებების გამოვლენის შემთხვევაში უფლება აქვთ:

— მიუთითონ თანამდებობის პირებს მათ მიერ დაშვებულ ნაკლოვანებებზე, დაავალონ მათ აღმოფხვრან გამოვლენილი ნაკლოვანებები, გადასცენ მასალები დარღვევების შესახებ შესაბამის უწყებრივ და ადგილობრივ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს განსახილველად;

— თანამდებობიდან გადააყენონ სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებათა ის მუშაკები, რომელთაც უხეშად დაარღვიეს საქართველოს რესპუბლიკის კანონები და მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს ან მოქალაქეთა ინტერესებს, გარდა იმ თანამდებობის პირებისა, რომელთა დანიშვნა-დამტკიცება შედის საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოებისა და მინისტრთა საბჭოების კომპეტენციაში;

— დასვან ბრალეულ თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრთა კაბინეტის, აგრეთვე აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოების, მინისტრთა საბჭოების წინაშე;

— მოახდინონ ფულადი დარიცხვა (არაუმეტეს სამი თვის ხელფასისა) იმ თანამდებობის პირებზე, რომლებმაც მატერიალური ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს.

რევიზია-შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი მასალები გადაეგზავნებათ სამართალდამცველ ორგანოებს.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანოების დადგენილებათა შესრულება სავალდებულოა შესაბამის წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელი პირებისათვის.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა ყველა სახის სასამართლოში საკითხის განხილვისას თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო საერთაშორისო არბიტრაჟში საქმის განხილვის შემთხვევაში სასამართლო ხარჯები ანაზღაურდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას უფლება აქვს დადოს ხელშეკრულებები საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საკონტროლო ორგანოებთან ერთობლივი რევიზია-შემოწმებების ჩატარების თაობაზე, სთხოვოს მათ რევიზია-შემოწმებების ჩატარება ან შეასრულოს ანალოგიური სამუშაოები მათი თხოვნით.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ხელმძღვანელ პირებს უფლება აქვთ მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, კომიტეტების, დეპარტამენტების ხელმძღვანელი კოლეგიური ორგანოების მუშაობაში.

თ ა ვ ი V

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანოების დადგენილებათა გასაჩივრების წესი

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანოების დადგენილება მოქალაქეს და ორგანიზაციას შეუძლია ერთი თვის ვადაში გაასაჩივროს ზემდგომ კონტროლის პალატაში ან, დადგენილი წესით, შესაბამის სასამართლოში.

თ ა ვ ი VI

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის წესი

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა თავისი საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს და აქვეყნებს მას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონტროლის პალატები ყოველწლიურ ანგარიშებს თავისი საქმიანობის შესახებ წარუდგენენ საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმს და შესაბამისად აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უზენაეს საბჭოებს.

თ ა ვ ი VII

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების შენახვის ხარჯები

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება წარმოებს საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. დაფინანსების ოდენობას ყოველწლიურად განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი.

თ ა ვ ი VIII

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანოების მუშაკები ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესები და მისი ქონება. რევიზია-შემოწმების პერიოდში არ დაუშვან უფლებამოსილების გადამეტება. ისინი პასუხს აგებენ რევიზია-შემოწმების შედეგების დამახინჯების, აგრეთვე შემოწმებულ წარმოება-ორგანიზაციათა კომერციული საიდუმლოების განცხადებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დაუშვებელია რევიზია-შემოწმების ჩატარება შესაბამისი კონტროლის პალატის ხელმძღვანელობის ბრძანებისა და მის მიერ დამტკიცებული პროგრამის გარეშე.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პასუხისმგებელ მუშაკებს ეკრძალებათ შეთავსებით იმუშაონ როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანოებში დაუშვებელია პოლიტიკური პარტიების და მათი სტრუქტურული ერთეულების შექმნა და ფუნქციონირება.

თ ა ვ ი IX

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაკთა სამართლებრივი და სოციალური გარანტიები

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ადვილობრივი ორგანოების მუშაკების კანონიერი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა შესამოწმებელი ობიექტის ყველა თანამდებობის პირისათვის.

დაუშვებელია საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის სისტემის პასუხისმგებელ პირთა დაკავება რევიზია-შემოწმების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ უშუალოდ დანაშაულის ჩადენაზე წაასწრეს.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების მუშაკებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უფლება აქვთ უფასოდ ისარგებლონ ყველა სახის საქალაქო (რაიონული), საგარეუბნო და საქალაქთაშორისო სახელმწიფო ტრანსპორტით (100 კილომეტრის ფარგლებში), გარდა ტაქსისა. სამსახურებრივი მივლინების დროს ისინი სარგებლობენ სასტუმროებში ადგილისა და ყველა სახის ტრანსპორტზე სამგზავრო დოკუმენტის დაჯავშნის უფლებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის მუშაკებს ეძლევათ ყოველწლიური შვებულება 30 კალენდარული დღის ოდენობით. ხელფასის ანაზღაურებით დამატებითი შვებულება მუშაკებს ყოველწლიურად მიეცემათ: 10 წლის მუშაობის შემდეგ — 5 სამუშაო დღე, 15 წლის მუშაობის შემდეგ — 10 სამუშაო დღე, 20 წლის მუშაობის შემდეგ — 15 სამუშაო დღე.

თ ა ვ ი X

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის სისტემის მუშაკთა წახალისების წესი

მუხლი 15. რევიზია-შემოწმების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტში და სხვა არასაბიუჯეტო ფონდებში ჩარიცხული თანხის 15 პროცენტი მოხმარდება საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანოების მუშაკთა მატერიალურ წახალისებას, კონტროლის პალატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და სხვა ღონისძიებებს.

შემოწმებული ობიექტებიდან საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის სასარგებლოდ ამ თანხების გადმორიცხვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტსა და სხვა არასაბიუჯეტო ფონდებში ფაქტობრივი გადარიცხვის პარალელურად.

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის მუშაკთა მატერიალური წახალისებისათვის განკუთვნილი თანხები განთავისუფლებულია სოცდაზღვევის ანარიცხებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი XI

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ვალდებულება საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატისა და მისი ადგილობრივი ორგანოების პირებისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას

მუხლი 17. სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ორგანოების პასუხისმგებელ პირებს მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებაში, გაუწიონ მათ აუცილებელი დახმარება რევიზია-შემოწმების ჩატარებაში, უზრუნველყონ ისინი საცხოვრებელი და სამსახურებრივი შენობებით, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებებით.

თანამდებობის პირები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ხელს შეუშლიან რევიზია-შემოწმებას, არ შეუქმნიან მუშაობის აუცილებელ პირობებს პალატის ორგანოების პასუხისმგებელ პირებს, დაუშვებენ შემმოწმებელთა დაშინებასა და დევნას, პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

თ ა ვ ი XII

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის და მისი ადგილობრივი ორგანოების სამართლებრივი მდგომარეობა

მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატა და მისი ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს; აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი და ანგარიშსწორების ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) ბანკებში; აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და პალატის სახელწოდებით.

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XIII

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის საქმიანობის შეწყვეტის წესი

მუხლი 19. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 13 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

89 „საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 13 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90 საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „3 მარტს — დედის დღეს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „9 აპრილს — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღეს — საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღეს“.

2. კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 13 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

91 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის სავალდებულოდ აღიარების შესახებ

საქართველოს პარლამენტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო დავის გადაწყვეტის მშვიდობიან საშუალებებს, განსაკუთრებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობას მსოფლიოში მშვიდობისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში და **ადგენს:**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, წინასწარი შეთანხმების გარეშე, აღიარებულ იქნეს სავალდებულოდ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ამ პარაგრაფში ჩამოთვლილი ყველა სამართლებრივი დავის მიმართ, თუ მოდავე სახელმწიფოს ნაკისრი აქვს ასეთივე ვალდებულება.

ამის თაობაზე ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 15 აპრილი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლში

1. სასამართლოს განსჯადია ყველა საქმე, რომელსაც გადასცემენ მას მხარეები, და ყველა საკითხი, რომელსაც სპეციალურად ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ან მოქმედი ხელშეკრულებები და კონვენციები.

2. ამ სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისინი განსაკუთრებული შეთანხმების გარეშე სავალდებულოდ ცნობენ, jpso facto, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც ასეთივე ვალდებულება იკისრა, სასამართლოს იურისდიქციას, რომელიც სავალდებულოა ისეთ სამართლებრივ დავაში, რომელიც ეხება:

a) ხელშეკრულების განმარტებას;

b) საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ საკითხს;

c) არსებობას ფაქტისა, რომელიც დადასტურების შემთხვევაში წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას;

d) ხასიათსა და რაოდენობას საზღაურისა, რომელიც უნდა გადაიხადონ საერთაშორისო ვალდებულების დარღვევისათვის.

3. ზემოთქმული განცხადებები შეიძლება იყოს უპირობო ან ამა თუ იმ სახელმწიფოთა შორის ნაცვალგების პირობით, ან განსაზღვრული დროით.

4. ასეთი განცხადებები შესანახად ბარდება გენერალურ მდივანს, რომელიც ასლებს გადაუგზავნის სტატუტის მონაწილეებსა და სასამართლოს მდივანს.

5. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის სტატუტის 36-ე მუხლის საფუძველზე გაკეთებული განცხადებები, რომლებიც ძალაში რჩება ამ სტატუტის მონაწილეთა შორის ურთიერთობებში, ჩაითვლება აღიარებად იმისა, რომ ისინი თავიანთთვის სავალდებულოდ მიიჩნევენ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას ამ განცხადებების ვადის გასვლამდე დარჩენილი დროით და მათში გადმოცემული პირობების შესაბამისად.

6 .იმ შემთხვევაში, თუ წარმოიჭრება დავა, ამ სასამართლოს განსჯადია თუ არა საქმე, საკითხი წყდება სასამართლოს განჩინებით.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

92 „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი მოსმენით მიღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით 24-ე და 42-ე მუხლების გარეშე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 15 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

93 საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომისიაში ცვლილების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი გელა **ნიკოლაიშვილი** იურიდიული კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 15 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

94 „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის 24-ე და 42-ე მუხლების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის პროექტის 24-ე და 42-ე მუხლები მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით შემდეგი რედაქციით:

მუხლი 24. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობა

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ხელმძღვანელობს მამასახლისი — სოფელსა და დაბაში, მერი — ქალაქში და გამგებელი — რაიონში, რომელთაც ორი წლის ვადით ირჩევენ შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახალი ხელმძღვანელის არჩევამდე.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი მოქმედებს კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და არა აქვს უფლება გადაწყვიტოს ერობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები.

მუხლი 42. ადგილობრივი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები

1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო — ერობა უფლებამოსილია დააყენოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი.

გადაწყვეტილება ძალაშია, თუ მას მხარი დაუჭირა ერობის ხმოსანთა ორმა მესამედმა.

2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველობითი ორგანოს ხელმძღვანელს უფლება აქვს ადგილობრივ რეფერენდუმზე გაიტანოს მისდამი ნდობის საკითხი.

3. რეფერენდუმის გადაწყვეტილება საბოლოოა.

4. მოსახლეობის მმართველობითი ორგანოს ხელმძღვანელისათვის ნდობის გამოცხადების შემთხვევაში დგება ერობის ახალი შემადგენლობის არჩევის საკითხი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი პახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 22 აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

95 საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, სისხლის სამართლის და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 22 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

96 საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული ჯარიმების გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით გათვალისწინებული ჯარიმების გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 22 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

97 **საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიისა და სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ**

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

გათავისუფლდეს საქართველოს პარლამენტის წევრი ნანა დევდარიანი პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისიის წევრის მოვალეობისაგან და არჩეულ იქნეს პარლამენტის სოციალურ საკითხთა კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 27 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

98 **რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე**

ითვალისწინებს რა, რომ:

რუსეთის შეიარაღებული ძალების აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული კონტინგენტი აქტიურად მონაწილეობს საომარ მოქმედებებში საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ,

რუსეთის უზენაესმა საბჭომ არაერთხელ მიიღო დადგენილებები, რომლებიც უხეშად ლახავს საქართველოს სახელმწიფოს სუვერენიტეტს,

რუსეთმა დაარღვია მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულება,

რუსეთის დელეგაციის ობსტრუქციული პოზიციის შედეგად პრაქტიკულად უნაყოფოდ დამთავრდა რუსეთ-საქართველოს სოჭის მოლაპარაკება; რუსეთის მხარემ ყურად არ იღო საქართველოს ხელისუფლების სახელით დაყენებული სამართლიანი მოთხოვნები,

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა თუ პარლამენტის განცხადებებსა და დადგენილებებში (1992 წლის 17 დეკემბერი, 1993 წლის 25 თებერვალი, 16-18 მარტი, 1 აპრილი და სხვ.) არაერთხელ იქნა განცხადებული მოთხოვნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანის თაობაზე,

რუსეთის ჯარებისა და აფხაზი სეპარატისტების კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე ადგილი აქვს ქართველი მოსახლეობის გენოციდსა და ეთნიკურ წმენდას,

საქართველოს პარლამენტს მოვლენათა ტრაგიკული განვითარების უმთავრეს მიზეზად მიაჩნია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობა,

და **ადგენს:**

1. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მიმართოს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის გაყვანის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ რუსეთის პრეზიდენტი, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია 1993 წლის 25 აპრილის რეფერენდუმში, გამოიყენებს თავის ძალაუფლებას და უახლოეს ხანში მიიღებს გადაწყვეტილებას კონფლიქტის ზონიდან ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანისათვის.

2. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში აფხაზეთის კონფლიქტის ზონა მდინარე გუმისთის ჩრდილო-დასავლეთით, რუსეთ-საქართველოს საზღვრამდე, ჩაითვალოს რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიად და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა გაერთიანე-

ბული ერების ორგანიზაციაში შესაბამისი საკითხი დასვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული მექანიზმების ამოქმედებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 27 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

99 სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ

თ ა ვ ი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ეს კანონი განსაზღვრავს სამხედრო და სპეციალურ წოდებებსა და დიპლომატიურ რანგებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამსახურში.

სამხედრო და სპეციალური წოდებები და დიპლომატიური რანგები ენიჭებათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს მათი სამსახურებრივი მდგომარეობის, ნამსახურები წლების, სამხედრო და სპეციალური მომზადების, აგრეთვე დამსახურების შესაბამისად.

აკრძალულია ამ კანონით გაუთვალისწინებელი სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების მიკუთვნება.

მუხლი 2. პირები, რომლებიც თვითნებურად მიიკუთვნებენ ან სხვებს მიანიჭებენ სამხედრო და სპეციალურ წოდებებს ან დიპლომატიურ რანგებს, უნებართვოდ ატარებენ ფორმას და განმასხვავებელ ნიშნებს, პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 3. სამხედრო და სპეციალური წოდებების და დიპლომატიური რანგების მინიჭება სახელმწიფო მოსამსახურეებს აძლევს გარკვეულ უფლებებსა და უპირატესობებს: კანონით დადგენილი ფორმისა და განმასხვავებელი ნიშნების ტარების უფლება, როგორც სამსახურის დროს, ასევე სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ; ხელფასის განსაზღვრა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; სახელმწიფო სამსახურში 25 წლისა და მეტი ნამსახურობის მქონე პირებისათვის სამხედრო და სპეციალური წოდებებისათვის და დიპლომატიური რანგებისათვის პენსიაზე სამუდამო სართის დამატება.

თ ა ვ ი II

სამხედრო წოდებები

მუხლი 4. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების, სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთათვის თანამდებობრივი მდგომარეობისა და ნამსახურობისათვის დაწესებულია შემდეგი სამხედრო წოდებები: რიგითი (სამხედრო-საზღვაო ძალებში — მატროსი), უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ზემდეგი (სამხედრო-საზღვაო ძალებში — მიჩმანი) და ოფიცერთა შემადგენლობის წოდებები. წოდებათა მინიჭების წესი განისაზღვრება შესაბამისი წესდებებით.

სამხედრო წოდებებს ანიჭებენ: საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრები, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი და სასაზღვრო ჯარების სარდალი.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოფიცერთა შემადგენლობისა და მათთან გათანაბრებულ პირთათვის დაწესებულია უმცროს, უფროს და უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდებები.

უმცროს ოფიცერთა შემადგენლობა:

ყველა სახეობის ჯარებში, გარდა სამხედრო-საზღვაო ძალებისა — უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი;

სამხედრო-საზღვაო ძალებში — უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტან-ლეიტენანტი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროს ოფიცერთა შემადგენლობა:

ყველა სახეობის ჯარებში, გარდა სამხედრო-საზღვაო ძალებისა — მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი;

სამხედრო-საზღვაო ძალებში — III რანგის კაპიტანი, II რანგის კაპიტანი, I რანგის კაპიტანი.

უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობა:

ყველა სახეობის ჯარებში, გარდა სამხედრო-საზღვაო ძალებისა — გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, არმიის გენერალი;

სამხედრო-საზღვაო ძალებში — ვიცე-ადმირალი, ადმირალი.

მუხლი 6. არმიის გენერლის და ადმირალის სამხედრო წოდებები მიენიჭებათ მხოლოდ ომის დროს, განსაკუთრებული საბრძოლო დამსახურებისათვის.

სასაზღვრო ჯარების და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდლებს, აგრეთვე ჯარების სახეობათა სარდლებს მიენიჭებათ სამხედრო წოდება არა უმაღლეს გენერალ-ლეიტენანტისა (ვიცე-ადმირალი).

მუხლი 7. სამხედრო წოდებები მიენიჭებათ თანამიმდევრობით. სამხედრო წოდების მინიჭება საფეხურგამოშვებით აკრძალულია.

განსაკუთრებული დამსახურებისათვის ვადაზე ადრე წოდების მინიჭების უფლება აქვთ: უმცროს ოფიცერთა შემადგენლობისათვის — შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებს; უფროს ოფიცერთა შემადგენლობისათვის — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს სათანადო უწყების ხელმძღვანელის წარდგინებით.

მუხლი 8. ოფიცერთა შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებების მისაღებად, გარდა შესაბამისი თანამდებობისა, დადგენილია სამსახურის გავლის შემდეგი ვადები: უმცროს და უფროს ოფიცერთა შემადგენლობისათვის — 3-3 წელი, თადარიგში მყოფ უმცროს და უფროს ოფიცერთა შემადგენლობისათვის — 5-5 წელი.

ომის პირობებში ოფიცერთა შემადგენლობისათვის წოდების მისანიჭებლად სამსახურის გავლის ვადები მცირდება 1 წლამდე.

უმაღლეს ოფიცერთათვის სამხედრო წოდების მისაღებად სამსახურის ვადა არ წესდება.

მუხლი 9. უმცროს და უფროს ოფიცერთა შემადგენლობას სამხედრო წოდებებს ანიჭებენ შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები.

უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას, აგრეთვე სამხედრო სასამართლოების მოსამართლეებს სამხედრო წოდებებს ანიჭებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

მუხლი 10. ოფიცრებს, რომლებიც ავიაციაში, სასაზღვრო ჯარებში და შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგან ჯარებში მსახურობენ, სამხედრო წოდების წინ შესაბამისად ემატებათ სიტყვები — „ავიაციის“, „სასაზღვრო ჯარების“, „შინაგანი ჯარების“.

სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებების და სამხედრო-იურიდიული სამსახურის ოფიცრებს, სამხედრო სასამართლოების მოსამართლეებს, საინტენდანტო და საინჟინრო შემადგენლობას წოდების წინ შესაბამისად ემატება სიტყვები — „სამედიცინო სამსახურის“, „იუსტიციის“, „საინტენდანტო სამსახურის“, „საინჟინრო სამსახურის“. ზემოაღნიშნულ ოფიცერთა შემადგენლობის უმაღლეს წოდებად ითვლება პოლკოვნიკის წოდება.

მუხლი 11. სამხედრო წოდების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

სამხედრო მოსამსახურეებს სამხედრო წოდება ერთი საფეხურით შეიძლება დაუქვეითოს იმ თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს წოდების მინიჭების უფლება. მასვე შეუძლია წოდების აღდგენა ჩამოქვეითებიდან მხოლოდ ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

თავი III

სპეციალური წოდებები და დიპლომატიური რანგები

მუხლი 12. იმ პირებისათვის, რომლებიც იმყოფებიან შესაბამის სახელმწიფო სამსახურში, დაწესებულია სპეციალური წოდებები და დიპლომატიური რანგები.

მუხლი 13. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგითი, უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ზემდეგი: უმცროს ოფიცერთათვის — უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი; უფროს ოფიცერთათვის — მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი; უმაღლეს ოფიცერთათვის — გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი. ამ წოდებებს წინ ემატება სიტყვა „პოლიციის".

უმცროს და უფროს ოფიცერთა შემადგენლობას წოდებებს ანიჭებს შინაგან საქმეთა მინისტრი, უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობას — საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

ამ წოდებების მისაღებად დადგენილი ვადები იგივეა, რაც სამხედრო სამსახურში.

მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს და პროკურატურის სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები: III კლასის იურისტი, II კლასის იურისტი, I კლასის იურისტი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, იუსტიციის მრჩეველი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი და უმაღლესი სპეციალური წოდებები — იუსტიციის სახელმწიფო მრჩეველი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურის სისტემაში წესდება შემდეგი სპეციალური წოდებები: იუსტიციის ლეიტენანტი, იუსტიციის უფროსი ლეიტენანტი, იუსტიციის კაპიტანი, იუსტიციის მაიორი, იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკი, იუსტიციის პოლკოვნიკი და უმაღლესი სპეციალური წოდება — იუსტიციის გენერალი.

ამ წოდებების მინიჭების ვადები იგივეა, რაც სამხედრო წოდებების მინიჭებისას.

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის სისტემაში დადგენილია შემდეგი სპეციალური წოდებები: გუშაგი, უფროსი გუშაგი, საბაჟო სამსახურის III კლასის ინსპექტორი, საბაჟო სამსახურის II კლასის ინსპექტორი, საბაჟო სამსახურის I კლასის ინსპექტორი, საბაჟო სამსახურის უფროსი მრჩეველი და უმაღლესი სპეციალური წოდებები — საბაჟო სამსახურის სახელმწიფო მრჩეველი, საბაჟო სამსახურის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი.

მუხლი 16. სპეციალური წოდებები ენიჭებათ მხოლოდ თანამიმდევრობით. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს შესაბამისი უწყების ხელმძღვანელის წარდგინებით ვადამდე მიანიჭოს სპეციალური წოდება განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

მუხლი 17. სახელმწიფო მოსამსახურეთათვის სპეციალური წოდების მისაღებად, გარდა შესაბამისი თანამდებობისა, დადგენილია შემდეგი ვადები: III, II და I კლასის იურისტების და ინსპექტორებისათვის — 2-2 წელი, უმცროსი მრჩევლის, მრჩევლის, უფროსი მრჩევლისათვის — 3-3 წელი.

უმაღლეს სპეციალურ წოდებათა მისაღებად სამსახურის გავლის ვადა არ განისაზღვრება.

მუხლი 18. საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში დადგენილია შემდეგი დიპლომატიური რანგები: ატაშე, მესამე მდივანი, მეორე მდივანი, პირველი მდივანი, უმცროსი მრჩეველი, მრჩეველი, უფროსი მრჩეველი, უმაღლესი დიპლომატიური რანგები — საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

დიპლომატიური რანგების მინიჭებისათვის განსაზღვრულია სამსახურის გავლის შემდეგი ვადები: ატაშესა და მდივნებისათვის 2-2 წელი, მრჩევლებისათვის — 3 წელი.

მუხლი 19. სპეციალურ წოდებებსა და დიპლომატიურ რანგებს ანიჭებს შესაბამისი სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელობა, უმაღლეს სპეციალურ წოდებებს და დიპლომატიურ რანგებს — საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

მუხლი 20. სპეციალური წოდებების და დიპლომატიური რანგების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლო განაჩენით.

სახელმწიფო მოსამსახურის სპეციალური წოდება ან დიპლომატიური რანგი შეიძლება ერთი საფეხურით ჩამოუქვეითოს იმ თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს არსებული წოდების ან რანგის მინიჭების უფლება. მასვე შეუძლია წოდების ან რანგის აღდგენა დაქვეითებიდან მხოლოდ ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 21. სპეციალური წოდებების და დიპლომატიური რანგების მინიჭების უფლება აქვთ: საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრებს, გენერალურ პროკურორს და საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 29 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

100 „სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ“ ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო, სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესაბამის თანამდებობათა ნუსხა.

3. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროებს, პროკურატურას, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურს, საბაჟო კომიტეტს შეიმუშაონ დებულებები სამხედრო, სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ და ჩაატარონ პირადი შემადგენლობის სრული ატესტაცია 1993 წლის 31 ივნისამდე.

4. დაევალოთ საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების, იურიდიული კომისიებს ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი ამ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 29 აპრილი.

განკოფილება მეორე

საქართველოს პარლამენტის

მ ი მ ა რ თ ვ ა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს

საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე, აფხაზეთში, რომელსაც რუსეთის ჯარების მეშვეობით აკონტროლებს გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფება, ხორციელდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მშვიდობიან მოქალაქეთა წინააღმდეგ მიმართული აშკარა გენოციდის სახე. სისტემატური მასობრივი მკვლელობა, დახვრეტა და არნახული შევიწროება აიძულებს ქართველ მოსახლეობას მიატოვოს საცხოვრებელი ადგილები.

საქართველოს პარლამენტი, ამ პოლიტიკას აფასებს, როგორც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის განგრძობას, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ხელყოფას.

მთელი პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული პოლიტიკისათვის ეკისრება რუსეთს, რომელიც თავისი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად მხარს უჭერს გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებას.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს მიიღონ ქმედითი ზომები საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის აღსაკვეთად, რუსეთის შეიარაღებული ძალებისა და გუდაუთის ფორმირებათა კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ქართველი მოსახლეობის დასაცავად.

თბილისი, 1993 წლის 1 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის

მიმართვა აფხაზ ხალხს

მეცხრე თვეა აფხაზეთში მძვინვარებს ძმათამკვლელი ომი. დაიღუპა ათასობით ადამიანი, გაუბედურდა ათიათასობით ოჯახი, ინგრევა და პარტახდება ქალაქები და სოფლები, ღვთისაგან მიწიერ სამოთხედ შექმნილი მხარე ჯოჯოხეთს ემსგავსება. და თუ დროზე არ მოვეგეთ გონს, შეიძლება სრულიად დაიცალოს აფხაზებისგანაც და ქართველებისგანაც.

იქნებ ახლა მაინც დავფიქრდეთ და შევხვდეთ, რომ ეს ომი მხოლოდ „ბოროტების იმპერიის“ რეანიმატორებს აძლევს ხელს, რომ ყველა გაუგებრობა ჩვენს შორის, საუკუნეების მანძილზე ერთიან სამშობლოში ძმურად მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს შორის, სწორედ ამ „ბოროტების იმპერიამ“ მოგვაბვია თავს და სწორედ ისევ ერთად თუ შევძლებთ მისგან განთავისუფლებას.

გავიხსენოთ, როდის იყვნენ ჩვენი წინაპრები ძლიერნი, მართალნი და გამარჯვებულნი — მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ერთად იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც, თავიანთი ერთიანი სამშობლოს დაცვაშიც და აღმშენებლობაშიც, როცა მათ ბოლომდე სწამდათ,

რომ არ არსებობს აფხაზური პრობლემა, რომელიც იმავდროულად ქართულიც არ იყოს, და არ არსებობს ქართული პრობლემა, რომელის მიმართ აფხაზი შეიძლება გულგრილი რჩებოდეს. ნუ — ... რაცხვყოფთ ჩვენი წინაპრების ძმობას, ნუ შევაშფოთებთ მათ წმინდა სულებს.

ვიფიქროთ ჩვენს შვილებზე და შვილიშვილებზეც, ნუ დავიდებთ მოუტევებელ ცოდვას — მათ ხომ მაინც ერთად, მეზობლად უხდა იცხოვრონ, თუკი ჩვენ კიდევ დავუტოვებთ ამქვეყნად ყოფნის შესაძლებლობას.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს აფხაზი ხალხის წარმომადგენლებს, უხუცესებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს — შევხვდეთ სადაც ინებებთ და როცა ინებებთ, რათა განვიხილოთ და მოვაგვაროთ ჩვენს შორის არსებული ყველა პრობლემა ისე, როგორც აფხაზი და ქართველი ხალხების ღირსებას ეკადრება და ჩვენს რაინდულ ტრადიციებს შეშვენის.

თბილისი, 1993 წლის 22 აპრილი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 15 აპრილის სხდომაზე

საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური დელეგაციის უკრაინაში ვიზიტის შესახებ

ვიზიტის მნიშვნელობა, მისი მიზნები და ამოცანები

საქართველოსათვის:

1. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია ხასიათდება, ერთი მხრივ, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობით, მეორე მხრივ, ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების სისუსტის გამო ძლიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი რეგიონული ძალების ინტერესების დაპირისპირებით. ასეთ პირობებში დიდი მნშვნელობა ენიჭება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის რეგულირების დაწყებას, რაც გარკვეულ იმპულსს მისცემს რთული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების ერთობლივი ძალებით გადაჭრას. საქართველოს ორიენტაციაა ორმხრივი ურთიერთობის განვითარება, რეგიონული და გლობალური თანამშრომლობა.

2. საქართველოსა და უკრაინას შორის ახალი ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის დაწყება ემყარება ისტორიულად ჩამოყალიბებულ კავშირურთიერთობას, ქართველი და უკრაინელი ხალხების კეთილი ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

3. უკრაინასთან მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა, ვინაიდან უკრაინა ერთ-ერთი უდიდესი ევროპული სახელმწიფოა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური პოტენციალით. ასეთ ქვეყანასთან პარტნიორული თანამშრომლობის განვითარება უაღრესად სასარგებლოა საქართველოსათვის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უკრაინის შესაძლო მონაწილეობას აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში.

ამგვარი ურთიერთობა არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოს წინაშე მდგომი მწვავე ეკონომიკური პრობლემების მოგვარების თვალსაზრისითაც, კერძოდ ენერგომატარებლებით მომარაგების საქმეში (ლაპარაკი უნდა იყოს ქვანახშირის გამოყენებაზე, საბოლოო ანგარიშით, შეფარდება ნახშირის სასარგებლოდ შეიცვლება).

უკრაინისათვის:

1. პოლიტიკურ სფეროში, უსაფრთხოების საკითხებში საქართველოსთან თანამშრომლობას უკრაინისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ასეთი ურთიერთობა შეიძლება უმნიშვნელოვანეს რგოლად იქცეს შავი ზღვის რეგიონის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში. უკრაინისათვის, რომელმაც განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს ევროპაში, კერძოდ, მის აღმოსავლეთ ნაწილში, სახელმწიფოთა შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყა-

ლიბებაში, ამიერკავკასიის საკვანძო სახელმწიფოსთან — საქართველოსთან — მჭიდრო თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

2. საბჭოთა კავშირის დაშლის გამო დარღვეული საწარმოო კავშირების აღდგენა უაღრესად აქტუალურია როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის ეკონომიკისათვის. ამ თვალსაზრისით საქართველოსა და უკრაინის ეკონომიკურ ობიექტებს შორის თანამშრომლობის ოდესღაც არსებული მასშტაბის აღდგენა ორივე ქვეყნის ინტერესებში შედის. ამოცანაც ასე განისაზღვრა.

3. უკრაინის ეკონომიკური ძლიერების მნიშვნელოვანი პირობაა რესურსებით მდიდარ შუა აზიისა და სპარსეთის ყურის სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობა. ასეთი თანამშრომლობა მომგებიანია ამიერკავკასიაზე გამავალი კომუნიკაციებისა და შავი ზღვის ნავსადგურების მეშვეობით. ამ მხრივ საქართველო, რომლის ტერიტორიაზეც აღნიშნული კომუნიკაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გაივლის, და რომელსაც შავ ზღვაზე მნიშვნელოვანი ნავსადგურები აქვს, უკრაინისათვის უნიკალური პარტნიორი შეიძლება გახდეს.

ვიზიტის შინაარსი

ვიზიტის პროგრამაში შედიოდა შეხვედრები და მოლაპარაკება უკრაინის ლიდერებთან, წამყვანი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან. პრეზიდენტ ლ. კრავჩუკთან ოფიციალური შეხვედრის ცერემონიალი გაიმართა მთავრობის რეზიდენციაში, სადაც უკრაინის პრეზიდენტი ოფიციალურად იღებს სტუმრებს. პრეზიდენტთან ორსაათიანი პირისპირ მოლაპარაკების გარდა, ვიზიტის მეორე დღეს მოეწყო კიდევ ერთი დამატებითი შეხვედრა. ასევე გაიმართა შეხვედრა უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან ვ. დურდინეცთან.

უკრაინის ხელმძღვანელებმა, რომლებმაც დაადასტურეს უკრაინის სრული მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ურღვევობისადმი, გამოხატეს მისწრაფება დაამყარონ საქართველოსთან ფართომასშტაბიანი და სრულფასო-

ვანი ორმხრივი ურთიერთობა. მათ აღნიშნეს, რომ ხალხი დიდი იმედით უყურებს ამ მოლაპარაკებას და მის შედეგებს ისტორიული მნიშვნელობა ექნება ორივე ქვეყნისათვის.

ხაზგასმით ითქვა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის მეტად მნიშვნელოვანია თანასწორუფლებიანი და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის განვითარება. სწორედ ამ კონტექსტით განიხილეს უკრაინისა და საქართველოს როლი და შესაძლებლობანი საერთო სტაბილიზაციის მიღწევის საქმეში.

უკრაინელმა პარლამენტარებმა მხარი დაუჭირეს ორი ქვეყნის საპარლამენტთაშორისო ურთიერთობის შემდგომი გაფართოება-გაღრმავების პერსპექტივებს. დაისახა საერთაშორისო საპარლამენტთაშორისო ურთიერთობაში კოორდინაციის გზები.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ყოფილი საბჭოთა კავშირის ბირთვული მემკვიდრეობის დანაწილებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ორი ქვეყნისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც. საქართველოს მხარე დარწმუნდა, რომ უკრაინა დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საკითხს და ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ არ დაარღვიოს მსოფლიოში არსებული ბალანსი და ეს ფაქტორი სტაბილურობისა და მშვიდობის მტკიცე გარანტად გადააქციოს.

ამავე დროს არ შეიძლება გავამარტივოთ ამ საკითხის საბოლოოდ მოგვარება. ბირთვული იარაღის ლიკვიდაციას უკრაინაში მრავალი ასპექტი აქვს, მათ შორის ეკონომიკური, ფინანსური. იგი აგრეთვე დაკავშირებულია ბირთვულ უსაფრთხოებასთან, რის სრულ გარანტიასაც მოითხოვს ეს სახელმწიფო, რომელსაც ახლა პრაქტიკულად ბირთვული ქვეყნის სტატუსი აქვს.

საუბარი შეეხო შავი ზღვის სამხედრო ფლოტის საკითხებს. საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან უკრაინა-რუსეთის ურთიერთობაში ეს პრობლემა მთელი სიმწვავით დადგა, რომელიც სცილდება სამხედრო პრობლემატიკის სფეროს და ორ ქვეყანას შორის არსებულ სადავო ტერიტორიების საკითხამდე მიდის. რუსეთი ცდილობს

ფლოტის პრობლემები უშუალოდ დაუკავშიროს ქ. სევასტოპოლის სტატუსს. საკითხი მათ მიერ შემდეგნაირადაა დაყენებული: გაყოფას ექვემდებარება არა მარტო სამხედრო გემები, არამედ მთელი ინფრასტრუქტურა, ტერიტორიის ჩათვლით. აქედან გამომდინარე უკრაინელთა დამოკიდებულება საზღვრების ურღვევობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი ყოველთვის ერთმნიშვნელოვანი და უცვლელი იქნება. მიზანშეწონილად ჩაითვალა საქართველო-უკრაინის ორმხრივი კონსულტაციების დაწყება შავი ზღვის ფლოტთან დაკავშირებით. ამასთან უკრაინა მზად არის გახდეს აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, სამშვიდობო კონტინგენტში უკრაინის შეიარაღებული ნაწილების მონაწილეობის ჩათვლით. აღინიშნა ისიც, რომ აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის მხარე უხეშად არღვევს უკრაინასთან დადებულ იალტის შეთანხმებას შავი ზღვის ფლოტის თაობაზე. კერძოდ, არაერთხელ დაფიქსირდა, რომ შავი ზღვის ფლოტის მეშვეობით უკრაინის მიერ ფლოტისათვის გამოყოფილ საწვავს რუსეთის არმიის გუდაუთის დაჯგუფებას აწვდიან, ფლოტის კუთვნილი გემები უშუალოდ მონაწილეობენ სამხედრო ოპერაციებში და სხვა.

თავის მხრივ უკრაინაც დაინტერესებულია სტაბილური საქართველოთი. მოვლენების განვითარების ნორმალურ კალაპოტში მოქცევის შემთხვევაში რეალური ხდება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობაში მტკიცე პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დამყარება. საქართველო-თურქეთის, საქართველო-აზერბაიჯანის, საქართველო-ირანისა და საქართველო-უკრაინის ყოვლისმომცველი ხელშეკრულებები სწორედ ამგვარი ურთიერთობის მტკიცე საფუძველია.

ეკონომიკური ურთიერთობა სახელმწიფოთაშორისო პოლიტიკის უპირველესი საფუძველია, მშვიდობის დამყარების საუკეთესო საშუალებაა. ამ თვალსაზრისით მომზადებულია ხელშეკრულებათა მთელი პაკეტი.

აღნიშნულ ხელშეკრულებებში ძალზე დიდია როგორც საქართველოს, ასევე უკრაინის ეკონომიკური ინტერესები. კერძოდ, სა-

ქართველოს მთავრობას ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციის სამუშაოთა კომპლექსში დაგეგმილი აქვს ერთ-ერთი ნავმისადგომის აგება ფოთი-ვარნა სარკინიგზო ბორნის მისაღებად. ამ კონტექსტით მეტად პერსპექტიულია ამ ხაზის პარალელურად ფოთი-ოდესა (ილიშევსკი) საბორნე ხაზის გახსნა, რაც საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ პირდაპირი სარკინიგზო გადაზიდვები ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევროპასა და აზიას შორის უკრაინისა და ამიერკავკასიის რკინიგზის გავლით. ეს საკითხი დაფიქსირებულია ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის დეკლარაციაში. ამასთან ერთად შევთანხმდით, რომ გავხსნით „როუ-როუ" ტიპის სანაოსნო ხაზს საქართველოს და უკრაინის ნავსადგურებს შორის.

უკრაინისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგომატარებლების ახალი ალტერნატიული წყაროების და მიწოდების სისტემების განვითარებას. ამ კონტექსტით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ტერიტორიის გავლით ტვირთებისა და მილსადენებით ენერგომატარებლების ტრანზიტს. უკრაინისათვის გარკვეული პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს ენერგომატარებლების ამ სისტემების მეგობრული ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებას, როგორც რუსეთიდან მომავალი გაზსადენის ალტერნატიულ ვარიანტს.

საერთოდ ამ წამოწყებას დიდი მომავალი აქვს. გამოყენებული იქნება საქართველოს და აზერბაიჯანის რკინიგზები, არსებული გაზსადენები, აშენდება ახალიც.

უკრაინიდან ენერგომატარებლები, სხვა ტვირთი ბორნებით და სხვა მძლავრი საშუალებებით გატანილი იქნება აღმოსავლეთ ევროპაში, საერთოდ ევროპაში. უაღრესად პერსპექტიულია ბალტიისპირა ქვეყნების დაკავშირება შავი ზღვის ქვეყნებთან და ახლო და შუა აღმოსავლეთთან. აქაც საქართველო და უკრაინა ხიდის როლს შეასრულებენ.

ამ იდეებთან დაკავშირებით კიევში დაიბადა ერთობლივი კონცერნის შექმნის იდეა უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და ირანის შემადგენლობით, რომლებიც ნავთობის ტრანსპორტირების პროექტს განახორციელებენ. უკრაინელები მზად არიან გარდა წმინდა ფინანსური ინვესტიციებისა, თავის თავზე აიღონ მილების,

რეზერვუარების, სატუმბავი აგრეგატებისა და ელექტროტექნიკურ მოწყობილობათა მიწოდება, სუფსისა და ფოთის რაიონებში სარეზერვუარო პარკების და მილსადენების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარება ,და სხვა.

უკრაინისა და საქართველოს კომერციულ სტრუქტურებში და სამთავრობო დონეზე აქტიურად განიხილებოდა შერეული, სახელმწიფო და კერძო კაპიტალის ბაზაზე უკრაინა-საქართველოს საავჭრო-სამრეწველო სახლის შექმნის იდეა. ასეთმა ერთობლივმა სტრუქტურამ შეიძლება აქტიური მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტების განხორციელებაში, კერძოდ, გაზისა და ნავთობის მიწოდებაში, ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციაში, საქართველოს სანაპირო ფლოტის მშენებლობასა და დაფინანსებაში.

ახალ კავშირებთან ერთად აუცილებელია ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული სასარგებლო საწარმოო კავშირების აღდგენა და თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აყვანა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მალიშევის სახელობის საწარმოო გაერთიანებასთან კოოპერაციულ საფუძველზე მინიტრაქტორების — ყველგანმავლების შესაძლო ერთობლივი წარმოება (უცხოელი პარტნიორი მოგვაწვდის ხაზებსა და შტამპებს ძრავის წარმოებისათვის. უკრაინის მხარე მოგვაწვდის მინიტრაქტორის კორპუსს, საქართველოში მოხდება მისი აწყობა დიმიტროვის ქარხნის ბაზაზე). ამავე საწარმოო გაერთიანებასთან შესაძლებელია თანამშრომლობა უახლესი მოდიფიკაციის ტანკებისა და ჯავშანტრანსპორტიორების სარემონტო ბაზის სრულყოფის მიზნით. დიდი პერსპექტივები აქვს თანამშრომლობას ავიამშენებლობის სფეროში.

ხელშეკრულებების მომზადებისას ექსპერტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის აუცილებელია ერთი წლის ვადით 30 მლრდ მან. ტექნიკური კრედიტის ორმხრივი გახსნა. გარდა ამისა მხარეებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ განიხილონ სახელმწიფოთაშორისო ბანკის შექმნის შესაძლებლობა, რომლის უპირველესი ამოცანა იქნება სახელმწიფოთაშორისი ჩათვლების განხორციელება.

ეკონომიკურმა ექსპერტებმა განიხილეს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპით ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობა. ორივე მხარემ პრინციპში მოიწონა ეს იდეა, მაგრამ უკრაინის მხარემ აღნიშნა, რომ არის გარკვეული ტექნიკური სიძნელეები ამ პრინციპის რეალიზაციისათვის; კერძოდ, არ არსებობს საკმარისი საკანონმდებლო ბაზა, გარკვეულწილად უნდა მოხდეს სავაჭრო-ეკონომიკური კანონმდებლობის და საბაჟო-სატარიფო სისტემების რეგულირების დაახლოება და სხვ. ეკონომიკური ურთიერთობის თაობაზე მიღებულ დეკლარაციაში ჩაწერილია: „უკრაინა და საქართველო, რომლებიც ავითარებენ თავის ურთიერთობას უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის საფუძველზე, მომავალში ხელს შეუწყობენ ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობის გადასვლას თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე და ამ მიზნით ხელს მოაწერენ შესაბამის ხელშეკრულებებს". უკრაინის მხარე გვთავაზობს რამდენიმე თვის განმავლობაში შერეულმა ჯგუფმა მოამზადოს მთელი რიგი ოქმები და შეთანხმებები და ამით შექმნან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმზე სრულფასოვანი გადასვლის პირობები.

საქართველო-უკრაინის კიევის უმაღლესი დონის შეხვედრა უნდა განვიხილოთ, როგორც ქართული პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი გარღვევა დასავლეთის მიმართულებით, ვინაიდან პოტენციურად ასეთი შესაძლებლობების მქონე ქვეყანას ერთ-ერთი წამყვანი ფუნქცია შეიძლება დაეკისროს მომავალი ევროპის ჩამოყალიბების საქმეში. თუმცა ამ გზაზე უკრაინას საკმაოდ სეროზული წინააღმდეგობების დაძლევა მოუხდება. საერთო აზრით, უკრაინა არ დაუშვებს რუსეთის რეაქციული ძალების გეგმების ხორცშესხმას. ამ მხრივ ჩვენი ინტერესები ემთხვევა. გამომდინარე აქედან საქართველო-უკრაინის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების შესახებ და კიდევ 19 შეთანხმება, რომლებიც აკონკრეტებენ სხვადასხვა სფეროში უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების ურთიერთობას, მართლაც, ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტებია ორივე ქვეყნისათვის. ვიზიტის შედეგები, ევროპის უსაფრთხოების თვალსაზრისით, უდავოდ წინ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის დებულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 30 მარტი.

საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

საქართველოს პარლამენტის მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის კომისია შექმნილია „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ და „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების ვადით.

კომისიას თავისი დარგობრივი საქმიანობის გათვალისწინებით აქვს კონტროლის, კანონმდებლობითი საქმიანობისა და საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით კომისიის შემადგენლობაში აირჩევიან პარლამენტის წევრები; სხვადასხვა კანონებისა და პროგრამების პროექტების შემუშავების აუცილებლობიდან გამომდინარე, კომისიას უფლება აქვს სამუშაოდ მოიწვიოს წამყვანი სპეციალისტები, დამხმარე მუშაკები და ექსპერტები.

II. მუდმივი კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა

საორგანიზაციო სხდომა ტარდება „საქართველოს პარლამენტის მუმივი კომისიების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

III. მუდმივი კომისიის უფლება-მოვალეობანი

1. კომისიის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, საქალაქო მეურნეობის, გეოლოგია-გეოდეზიის, სტანდარტიზაციისა და ტექნიკური ზედამხედველობის საკითხები. ამ მიმართულებების მიხედვით კომისია შესაბამის აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად შეიმუშავებს კანონპროექტებს, კონცეფციებს, დარგების განვითარების მოკლე და გრძელვადიან პროგრამებს; აკონტროლებს კანონებისა და პარლამენტის სხვა გადაწყვეტილებათა შესრულებას.

2. კომისია თავის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე ისმენს მინისტრთა კაბინეტის, შესაბამისი სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტების, ქალაქების, რაიონების გამგეობათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს.

კომისია თავისი საქმიანობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე რეკომენდაციებს აძლევს მინისტრთა კაბინეტს, შესაბამის სამინისტროებს, კომიტეტებს, დეპარტამენტებს, რაიონებისა და ქალაქების გამგეობებსა და სხვა ორგანოებს.

პასუხისმგებლობა მუდმივი კომისიის მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის განსაზღვრულია „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით.

3. კომისია აკონტროლებს მინისტრთა კაბინეტის, სამინისტროების, კომიტეტების, დეპარტამენტებისა და სხვა უწყებების საქმიანობას კანონების, აგრეთვე, სახელმწიფო პროგრამების შესრულების ხაზით; ამასთან დაკავშირებით იგი ამზადებს და შეაქვს საკითხები პარლამენტის სხდომის განსახილველად. საჭიროების შემთხვევაში სათანადო ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე აყენებს მათი პასუხისმგებლობის საკითხებს.

4. მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის უფლებამოსილება კანონმდებლობის სფეროში განსაზღვრულია „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლით.

5. კომისია თავის გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციების მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად გამოვლენილ კანონის დარღვევებზე შეიმუშავებს და უგზავნის რეკომენდაციებს სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მინისტრთა კაბინეტს, სამინისტროებს, რაიონებისა და ქალაქების გამგეობებს, ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებს. განხილვის შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ კომისია იღებს პასუხებს მის მიერ დადგენილ ვადაში.

IV. მუდმივი კომისიის მუშაობის წესი

1. კომისიის თავმჯდომარე წარმოადგენს კომისიას პარლამენტში, საპარლამენტთაშორისო ურთიერთობებში და პარლამენტის გარეთ; საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს მინისტრთა კაბინეტის, სამინისტროთა კოლეგიების და პარლამენტის სხვა კომისიების მუშაობაში.

2. მუდმივი კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და ქვეკომისიის თავმჯდომარეთა არჩევის წესს ადგენს კანონი „საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიების შესახებ“.

3. მრეწველობის, მშენებლობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის მუდმივ კომისიაში შექმნილია მრეწველობის, მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის ქვეკომისიები.

ქვეკომისიების მთავარ ამოცანას წარმოადგენს მუდმივ კომისიაში კანონპროექტის დეტალური შესწავლა, შენიშვნების, შესწორებებისა და დამატებების თაობაზე წინადადებების მომზადება.

ქვეკომისიები შესაბამის სამინისტროებთან ერთად შეიმუშავებენ დარგების განვითარების კონცეფციას, მოკლევადიან და გრძელვადიან პროგრამებს, რომლებსაც შემდგომ წარადგენენ მუდმივი კომისიის განსახილველად.

V. მუდმივი კომისიის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო

1. მუდმივი კომისიის ქვეკომისიებთან შექმნილია მრეწველობის, მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკისა და კავშირგაბმულობის ქვეკომისიების სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, მათ შორის:

ა) მშენებლობის და კომუნალური მეურნეობის ქვეკომისიას აქვს მშენებლობის, არქიტექტურის, კომუნალური, მეცნიერებისა და ტექნიკის, საგზაო და ეკონომიკის სექციები;

ბ) ტრანსპორტის ქვეკომისიას აქვს რკინიგზის, საავტომობილო, საჰაერო, საზღვაო ტრანსპორტისა და საქსახტრანს-მეტროპოლიტენის სექციები;

გ) ენერგეტიკის ქვეკომისიას აქვს მცირე ჰესების ენერგეტიკის, თბოენერგეტიკის, ჰიდროენერგეტიკის, ენერგორესურსების სექციები.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოებსა და მათ სექციებში იხილება დარგებთან დაკავშირებული საკითხები, კონცეფციები, ახალი სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები, კანონპროექტების ძირითადი პრინციპები; ამასთან, კომისიაში სხვადასხვა ორგანიზაციიდან, დაწესებულებიდან, საწარმოდან, ფირმიდან, ცალკეული მეცნიერებისაგან და მოქალაქეებისაგან შემოსული წინადადებების,

მოსაზრებების, ტენდერის, ფასწარმოქმნის, გადასახდების ახალი ნორმების შესახებ საკითხების განხილვის შემდეგ ხდება მათი შეჯერება და მომზადება, განსახილველად შეტანა ქვეკომისიების სხდომაზე.

ამასთან ერთად კომისიის წევრები სისტემატურად ხვდებიან ადგილებზე დარგობრივი უწყებების, მათ შორის სამშენებლო კომპლექსის, მრეწველობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და კომუნალური მეურნეობის სამსახურების ხელმძღვანელებს და მუშა-მოსამსახურეებს, იხილავენ დარგებში არსებულ მდგომარეობას, ისმენენ წინადადებებს, მოსაზრებებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლისა და პრივატიზაციის თაობაზე, დარგის განვითარების პერსპექტიული მოკლე და გრძელვადიანი პროგრამების, მშრომელთა სოციალური დაცვისა და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, რის საფუძველზეც ხდება წინადადებების შეჯერება, პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, საკითხების მომზადება პირველ რიგში საკონსულტაციო საბჭოს დარგობრივი სექციების, შემდეგ კი ქვეკომისიებისა და მუდმივი კომისიის სხდომების განსახილველად.

2. კომისიის ძირითადი ამოცანაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სახალხო მეურნეობის კომპლექსში პრივატიზაციის დაჩქარების პროცესებს და ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას.

კომისიის მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა დაეხმაროს და ყველაფერი გააკეთოს სტიქით დაზარალებულ რაიონებში აღდგენითი სამუშაოების დასამთავრებლად.

3. კომისიას მჭიდრო კოლეგიალური ურთიერთობები აქვს პარლამენტის მუდმივ კომისიებთან, მინისტრთა კაბინეტის დარგობრივ ბლოკებთან და განყოფილებებთან, ეკონომიკური დარგებისა და რესპუბლიკის საბანკო სისტემის სტრუქტურების ხელმძღვანელებთან.

მუდმივი კომისიის სხდომები ტარდება ყოველ ოთხშაბათს, ქვეკომისიების, საკონსულტაციო საბჭოსა და სექციების სხდომები კი — ორშაბათობით და პარასკევობით.